წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 1

2023 წლის 23 იანვარი

ქ. წალენჯიხა

2023 წლის 23 იანვარს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი მერაბ შონია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12⁰⁰ სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 14⁰⁰საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: **მერაბ შონია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: **ივანე ბურდული**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მოისმინეს: 1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა მერაბ შონიამ და საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების განხორციელების წესი. განმარტა რომ, წინა წელთან შედარებით 2023 წლის პროგრამებში გაზრდილია დაფინანსება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ შენიშნა, რომ, „ერთჯერადი ფულადი დახმარების" პროგრამაში აუცილებელია, ბენეფიციართა მიერ წარმოსადგენ შუამდგომლობაში მერის წარმომადგენელთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს მაჟორიტარი-დეპუტატიც, ასევე გასაცემი თანხა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად-100 ლარიდან 200 ლარამდე , შენიშვნის გათვალისწინებას სამართლებრივ აქტში დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, თუ რატომ არ იყო წარმოდგენილ პროექტში წარჩინებულ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის თანადაფინანსება გათვალისწინებული, მაშინ როცა ეს საკითხი არაერთხელ იქნა დასმული. ამ საკითხს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი თენგიზ ფიფია, მან აღნიშნა, რომ კარგი იქნება , თუ მუნიციპალიტეტი დაეხმარება იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულება თვითონ გააგზავნის გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ. რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრები და აღნიშნეს, რომ დაფინანსდნენ წარჩინებული სტუდენტები,რომელსაც სასწავლო დაწესებულება გააგზავნის სასწავლებლად საზღვარგარეთ, ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით.საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ აღნიშნა , რომ საკითხი არსებითად არის შესასწავლი მერიის სოციალურ კომისიასთან ერთად. მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტს, რომელიც გაცვლითი პროგარმით მიდის სასწავლებლად საზღვარგარეთ სრულად უფინანსდება ყველანაირი ხარჯი სახელმწიფოს მიერ, თუმცა მათ მხარდასაჭერად პროგრამის შემუშავების მიზნით, მერის წარმომადგენლების ჩართულობით ერთ თვეში საკრებულოში წარმოდგენილი იქნება ამ კატეგორიის სტუდენტთა სტატისტიკა და შესაბამისი პროგრამა.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ „ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის" პროგრამაში მხოლოდ შშმ პირთა I ჯგუფის ჩართვა არასწორად მიიჩნია და აღნიშნა , რომ ჯობდა ჯგუფი არ ყოფილიყო განსაზღვრული, ვინაიდან არიან ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას, მაგრამ არა აქვთ მინიჭებული I ჯგუფი. გადასახედია „ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების" პროგრამა, ვინაიდან გაზრდილია ქირურგიული მომსახურების თანხები. ასევე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს იმ პირთა სტაციონარული მომსახურების დაფინანსება, რა კატეგორიაც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. „ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის" პროგრამასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მიეცეთ დახმარება იმ ბენეფიციარებს, რომლებიც იღებენ ძვირადღირებულ მედიკამენტებს და ასევე, იმათ ვინც ჩართული იყო ამ პროგრამაში 2022 წელს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელ სალიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით „სიოციალურად

დაუცველთა ბინით უზრუნველყოფისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის“ პროგრამასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ იყო 2022 წელს აუთვისებელი თანხა ასახული 2023 წლის ბიუჯეტში, რაზეც მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ უპასუხა, რომ მერიაში შექმნილმა სოციალურმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა ყველა შემოსული განცხადება ამ პროგრამის ფარგლებში, შეირჩა ოჯახები, გამოცხადდა ტენდერი, თუმცა ტენდერი არ შედგა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ომარ ქარდავამ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელმაც ვერ იმუშავა და დღემდე განუხორციელებელია,მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული იყო, ვერ შეირჩა მისი განხორციელების მეთოდი. ასევე, მუნიციპალიტეტის მერიას არაერთხელ მივმართეთ განცხადებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი სახურავების სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე გადაცემასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაზე მერიიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა. მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის მერია ამ საკითხებს გულგრილად უდგება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის კენჭისყრამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა -წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება N1.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. მან აღნიშნა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის წესი, რომელიც მოიცავს: განცხადების მიღებას, რეგისტრაციას, საბანკო ბარათების დამზადებასა და მათი გამოყენების პირობებს. პროგრამა გათვლილია 180 დღიან სასწავლო პერიოდზე წელიწადში და ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების თანხა შეადგენს საშუალოდ 4 ლარს. ცხადია, პროგრამას ექნება ხარვეზები, რომელსაც წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ . თუმცა თანდათან დაიხვეწება . პროგრამის ამოქმედება დაიწყება 2023 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ საკითხი მოუმზადებლად მიიჩნია და აღნიშნა რომ არის უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი ,ვინაიდან კონტროლის არანაირი მექანიზმი არ გაგვაჩნია, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან თავის დაზღვევის მიზნით,ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვა რომ მოხდეს , მიმაჩნია, რომ უნდა

შეგვეზღუდა საკვების რაციონი, ბავშვების საჭიროების გათვალისწინებით და კონკრეტულ მაღაზიებთან დაგვედო ხელშეკრულება. საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანია აღნიშნა, რომ ჯობდა დაგვეფინანსებინა სკოლის სასადილოები ან ხელი შეგვეწყო ამ პროგრამის ფარგლებში მცირე მეწარმეებისთვის.

მერის პიველი მოადგილე ივანე ბურდული გამოეხმაურა საკრებულოს წევრების შენიშვნებს და აღნიშნა, რომ ყველა სკოლების უმეტეს ნაწილს არა აქვს სასადილო, არის ფართების პრობლემა და სხვა უამრავი ნიუანსი, ამიტომ გადაწყდა ბავშვის სახელზე ბარათების შექმნა, რომელსაც გამოიყენებენ მარკეტებში. ლიმიტები არ არის დაწესებული, თუმცა თუ იქნება მომართვიანობა შეიძლება მათი დაწესებაც, ასევე, კონკრეტულ ბავშვზეც, მათი მომართვის საფუძველზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება N2.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია